სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2023 წლის 5 მაისის N 118/01-01 ბრძანების საფუძველზე ფიზიკის დეპარტამენტის ელემენტარული ნაწილაკებისა და კვანტური ველების კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 ივნისის №56/2023 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი სხდომის ოქმი (კორექტირებული)

ქ. თბილისი

5, სექტემბერი, 2023 წელი

სხდომას კომისიის 4 წევრიდან ესწრებოდა ოთხივე წევრი:
1) მერაბ ელიაშვილი, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ელემენტარული ნაწილაკებისა და კვანტური ველების კათედრის გამგე, პროფესორი,
2) თამაზ კერესელიძე, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის კათედრის გამგე, პროფესორი,
3) თამარ ჭელიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4) გიორგი ციციშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ელემენტარული ნაწილაკებისა და კვანტური ველების კათედრის ასოცირებული პროფესორის („ბ“ კატეგორია) თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებულის გამოვლენა
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის მერაბ ელიაშვილის ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

მან აღნიშნა, რომ თსუ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 ივნისის №56/2023 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში. საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმრთელე დარღვეულ იარ იყო. საკონკურსო დოკუმენტაცია გაიხსნა სხდომაზე კომისიის მიერ და კომისია შეუდგა მუშაობას.

ფიზიკის დეპარტამენტის ელემენტარული ნაწილაკებისა და კვანტური ველების კათედრაზე ასოცირებული პროფესორის(კატეგორია „ბ“) 1 ვაკანსიაზე განცხადება შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა **რევაზი შანიძემ.**

კონკურსანტის შეფასება მოხდა ოტ ეტაპად: შეფასების პირველ ეტაპზე შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია, შეფასდა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია; კონკურსანტის შესახებ კრებსითი ინფორმაცია განთავსდა კონკურსანტის შეფასების ფორმაში.

შეფასების კატეგორია I – „ფორმალური შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“
რევაზი შანიძის

- **კვალიფიკაცია** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (01.04.16 - დისერტაციის თემა „ნუკლონისსპინური სტრუქტურის და სტანდარტული მოდელის ზოგიერთი გაფართოების ექსპერიმენტული შესწავლა ნაწილაკთა კოლაიდერებზე“),
- **სამსახურებრივი გამოცდილება** - თსუ ასოცირებული პროფესორი, თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, სწავლული მდივანი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; გერმანიის ნაწილაკების და ასტრონაწილაკების ფიზიკის ეროვნული ცენტრი მეცნიერ-მკვლევარი, ერლანგენ-ნიურბერგის უნივერსიტეტი, მეცნიერ მკვლევარი, ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი (ქ. დუბნა, რუსეთი), უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი (CERN, ჟენევა, შვეიცარია)
- **პედაგოგიური სტაჟი** - (6 წელზე მეტი)
- **შეთავსებით მუშაობა** - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სამეცნიერო და ტექნიკური პროექტების მენეჯერი

აკმაყოფილებს ვაკანსიის პროფილს.

შეფასების კატეგორია II (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) - კონკურსანტი დღემდე არის თსუ ფიზიკის დეპარტამენტის ასოცილებული პროფესორი ელემენტარული ნაწილაკებისა და კვანტური ველების კათედრაზე, კითხულობს ლექციებს ძრითადად ფიზიკის სამაგისტრო პროგრამების საგნებში, წარმოდგენილია სამაგისტრო პროგრამის „ფუნდამეტური ფიზიკა“ საგნების სილაბუსები.
მეორე კატეგორიის მიხედვით რევაზი შანიძემ მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების კატეგორია III - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

- კონკურსანტს აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული 134 სტატია, რომელთაგანაც კონკურსანტის მიერ წარმოდგენილია ბოლო წლებში (2020-2023) გამოქვეყნებული 7 სტატია; ციტირების ინდექსი - 9630 ; *h* - ინდექსი - 47; *g-ინდექსი 117.*
- საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი: „Determining the neutrino mass ordering and oscillation parameters with KM3NeT/ORCA, S.Aiello, . . . , R.Shanidze, et.al (The KM3NeT Coll.) European Physics Journal EPJ C82, p.26 (https://link.springer.com/article/10.1140/epjc/s10052-021-09893-0) არის მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი, საერთაშორისო კოლაბორაციის ფარგლებში და შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.
- ბოლო 6 წლის განმავლობაში კონკურსანტი მონაწილეობდა 6 საგრანტო კონკურსი, ადგილობრივ (4) და საერტაშორისო კონფერენციებში (2).
- საერთაშორისო თანამშრომლობა აქვს შემდეგ სამეცნიერო ორგანიზაციებთან: პარიზ-სალკეს უნივერსიტეტი/ირენ-ჟოლიო კიურის ლაბორატორია (საფრანფეთი), ერლანგენ-ბიურბერგის უბივერსიტეტი, ერლანგენის ასტრონაწილაკების ფიზიკის ცენტრი (გერმანია); მარსელის ნაწილაკების ფიზიკის ცენტრი (CPPM, მარსელი, საფრანგეთი), ბარის უნივერიტეტი (იტალია)
- სამეცნიერო კვლევების კონვეფცია შეეხება თანამედროვე ფიზიკის უმნიშვნელოვანეს მიართულებებს: 1) ნაწილაკებისა და ასტრონაწილაკების ფიზიკა 2) ბირთვული სამედიცინო ფიზიკა. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში პრეტენდენტი ნათლად აღწერს მის მონაწილეობას/წვლილს სამეცნიერო მიმართულებებში, რომლებიც ხორციელდება

დიდი საერთაშორისო კოლაბორაციის ფარგლებში. აღსანიშნავია,რომ სამეცნიერო კვლევების კონცეპციაში ხაზგასმულია სტუდენტების ჩართულობა.

კონკურსანტის შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“

შეფასების კატეგორია IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილია შემდეგი აქტივობები: თსუ აკადემიური საბჭოს წევრი ნოდარ ამაღლობელოს სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტიდან; გამოყენებითი ფიზიკის სამაგისტრო პრპგრამის „რადიაციული უსაფრთხოება და ბირთვული სამედიცინო ფიზიკა“ თანახელმძღვანელი; დოქტირანტების ხელმძღვანელობა (გოგიტა პაპალაშვილი, გიორგი ქისტაური, მარიამ აბულაძე, ნანა შუბითიძე) კომპუტერული ენის (python) ვებ-გვერდი ქართულ ენაზე: http://training.hepi.tsu.ge/Python/

კონკურსანტის შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“

აღნიშნული შეფასებების საფუძველზე კონკურსანტს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა მეორე ეტაპზე, გასაუბრებაზე.

გასაუბრება ჩატარდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. პრეტენდენტს დაესვა შეკითხვები მისი სამეცნიეორ საქმიანობისა და მომავალი გეგმების შესახებ, დარგში თანამედროვე ტენდენციების შესახებ, უცხოურ სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობისა და წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომის შესახებ.

პრეტენდენტმა დაწვრილებით აღწერა ელემენტარული ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკის სპეციფიკა, განვითარების ტენდენციები; აღწერა წარმოდეგენილი ნაშრომის კონცეპცია და აქტუალობა; მან ასევე ისაუბრა სამეცნიერო კვლევებშ და გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისა და კვლევებში სტუდენტების ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ.

გასაუბრების დროს პრეტენდენტმა გამოავლინა სამეცნიერო და აკადემიური საკითხების სიღრმისეული ხედვა; დასაბუთებული და ამომწურავი პასუხები გასცა კომისიის წევრების შეკითხვებს.

პრეტენდენტმა **მეორე ეტაპზე კომისიის წევრებისაგან დაიმსახურა“ მაღალი“ შეფასება.**

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად ჩატარდა კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრმა.

მოქმედი დებულების თანახმად საკონკურსო კომისიის მიერ ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

ელემენტარული ნაწილაკების და კვანტური ველების კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ“) თანამდებობაზე კენჭისყრის შედეგების მიხედვით

რევაზი შანიძე - მომხრე 4, წინააღმდეგი 0.

რევაზ შანიძე აქვს დიდი აკადემიური და სამეცნიერო გამოცდილება და მიღწევები, მისი საქმიანობა დიდად შეუწყობს ხელს უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი პოტენციალის გაძლიერებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას, უნივერსიტეტის შემდგომ წინსვლას და განვითარებას, მის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარიზაციას.

გამომდინარე აქედან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ელემენტარული ნაწილაკებისა და კვანტური ველების კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ“) თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო კომისიამ ერთხმად მიანიჭა რევაზი შანიძეს გამარჯვებული კანდიდატის სტატუსი.

კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და დაადგინა, რომ შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე : /მერაბ ელიაშვილი/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე : /თამაზ კერესელიძე/

კომისიის მდივანი: /თამარ ჭელიძე/

კომისიის წევრები: /გიორგი ციციშვილი/